Пр. 22 ივნ. 1974 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფალი ტრიბუნა

825
1974

საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორგანო

სარედაქციო კოლეგია: ლევან ზურაბიშვილი, მიხეილ გრიგოლია, გიორგი წერეთელი.

LA TRIBUNE DE LA LIBERTÉ

Organe pour la Libération de la Géorgie

№ 3 **პარიზი** **მაისი 1974**

1918 — 26 მაისი — 1974

29678

ძვირფასნო თანამემამულენო, ლტოლვილნო ქართველნო, *) ეროვნული დღესასწაულები წარმოადგენენ, სთქვა ერთმა ფრანგმა მწერალმა, ერის ისტორიულ გზის მაღალ ადგილებს, საიდანაც თვალით ნახვა შეიძლება განვლილ დაღმართ-აღმართებისა, და ამრიგად იჭედება ერის სულიერი ძლიერება და სიმტკიცე.

თავის თავად ცხადია, რომ ერად წოდებულია აქ ხალხი, რომელმაც მიაღწია სრულ შეცნებას თავისი ვინაობისა, მთლიანობისა და მიძღვნილობისა.

ათიოდე საუკუნეა რაც ასეთ პირობებს აკმაყოფილებს ქართველი ხალხი, — როგორც ჩვენ ვიცით გრიგოლ ხანძთელის სიტყვებიდან; ისიც ვიცით რომ ჩვენმა ერმა საუკუნეთა მანძილზე შექმნა ისეთი ურყევი დღესასწაულები, რომლის აღმოფხვრა ვერცერთმა მისმა მტერმა ვერ შესძლო, ვინაიდან ყოველივე მათგანი მოწმობს ქართველ ერის მეობის ერთერთს სახეს.

წმ ნინოს დღესასწაული, 14 იანვარს, ჩირაღდანია, რომელიც სამუდამოდ ინახავს ხსოვნას ქართველების გაქრისტიანებისას. წმ. გიორგის, 10 ნოემბერის დღასასწაული, მე-9-მე-10 საუკუნედან მოყოლებით, მოწმობს საქართველოს რაინდულ სულს და მისი ვაჟკაცობის თავდებია. „თამარობა“ (1 მაისი) გვაგონებს საქართვლოს ოქროს ხანას, ჩვენი სახელმწიფოს სულიერ, გონებრივ და ძლიერებით მწვერვალს, და სიმბოლოა საქართველოს განუყოფლობისა. მაგრამ ვფიქრობ რომ "მცხეთობა," სვეტიცხოვლის დღესასწაული, 1-ლ ოქტომბერს, ყველაზე უფრო უახლოვდება თანამედროვე მცნებას ეროვნული დღესასწაულისას; რამდენად მასშია შერწყმული სულიერი მომენტიც და სახელმწიფოებრივიც. მცხეთა ხომ უძველესი დედაქალაქია ჩვენი ქვეყნის, მისი სარწმუნოებრივი ცენტრი, და ჩვენი უკანასკნელ მეფეთა ისტორიული აკლდამაც.

აი ამ აკლდამაში 1801 წელს, 116 წლით დასაფლავდა ჩვენი ერის თავისუფლება და საერთაშორისო უფლებებიც. ჩვენ ვიცით რომ ამ უსამართლობას ჩვენი ერი არასდროს არ შეურიგდა, და ყოველგვარი ღონისძიებით, ხშირად აჯანყების სახითაც, იცავდა: თავის მეობას, სარწმუნოებას, ენას, კულტურას, უფლებებს... მაგრამ რუსეთის კლანჭებში იხრჩობოდა ნელ-ნელა.

ახალ თაობებისთვის უთუოდ ძნელია წარმოდგენა და მით უფრო სწორი შეფასება იმ გიგანტური მომენტებისა რომლებიც მოჰყვენ 1917 წლის თებერვლის რუსეთის რევოლიუციას და ტახტის დაცემას.

არ ვაპირებ აქ ისტორიის ვისმესთვის სწავლებას. მინდა მხოლოდ მოკლედ ჩამოვთვალო ის რაც ჩვენ მაშინ გვეღირსა, და მერე ძალით წართმეულ იქმნა! ვთხოვ ახალგაზრდებს ჩაუფიქრდნენ თუ რა უნარიანობა გამოიჩინა ქართველმა ხალხმა, და თუ რა სიმაღლეზე აღმოჩნდა ის მაშინ, როდესაც გარეშე დახმარებას მოკლებულმა, დასძლია უამრავი და უსასტიკესი სიძნელენი, და ფეხზე დადგა!

*) სიტყვა წარმოთქმული 26 მაისის დღესასწაულისადმი მიძღვნილ კრებაზე პარიზში, 1974 წლის 24 მაისს.

საქართველოს პარლამენტის

აი ეს სასწაულებრივი ფენომენი ატარებს ისტორიაში 26 მაისის სახელს. ახალგაზრდებო! მოდით გავიხსენოთ ერთად: 1917 წელში, თებერვალში, პეტროგრადში ხდება რევოლიუცია.

12 (25) მარტს 1917 წ. მცხეთაში იკრიბება ქართული სამღვდელოება და აღდგენილად აცხადებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას და ირჩევს კათალიკოსად კირიონს. (რაც გაუქმებული იყო რუსეთის სინოდის მიერ 1811 წელში.)

ეს არის საქართველოს სულიერი სუვერენობის აღდგენა. 26 ივნვარს 1918 წ. უკვე დამოუკიდებელი კავკასიის პირობებში ხდება გახსნა თბილისის ქართულ სახლმწიფო უნივერსიტეტის.

ეს არის საქართველოს გონერბივი სუვერენობის აღდგენა.

და ბოლოს, 26 მაისს 1918 წ 17 საათ. 10 წუთზე — საქართველოს ეროვნული საბჭო აცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას და პრეზიდენტი ნოე ჟორდანიას პირით ამცნობს ქვეყანას.

ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური და უფლებრივი სუვერენობა.

მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ყველაფერი ეს კეთდება მაშინ, როდესაც კავკასიის ფრონტის რუსული ჯარი; (ზვიდას ათასამდე შეიარაღებული რუსი) სტოვებს ფრონტს და მიეშურება რუსეთისაკენ, თან აპირებს გზა და გზა საქართველოს დარბევას და გაცარცვას! ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენს საზღვარზე ომი თურქეთთან არ სწყდება, და რომ ქართველები-კი რუსეთის ჯარში წაყვანილი 250 ათასამდე ადამიანი, რუსეთიდან საქართველოსკენ ძნელად იკვლევენ გზას! ისიც გვახსოვდეს რომ ომმა შეიწირა ეკონომიური მარაგი!

აი ამ პირობებში გამოცხადებული დამოუკიდებლობა, თანდათანობით, — ყოველივე გარეშე დახმარების, უქონლობის მიუხედავად — ჩვენ გვძენს:

ქართულ ჯარს, ქართულ ადმინისტრაციას, ქართულ სასამართლოს, ქართულ პარლამენტს და სენატს.

სკოლა-გიმნაზიებში სწავლა გადადის რუსულიდან ქართულზე და სასწრაფოდ იბეჭდება საჭირო სახელმძღვანელოები.

შექმნილია ეროვნული მაშტაბით, სპორტიული ხაზოგადოება „შევარდენი„.

ქუჩების რუსული სახელები შეცვლილია ქართული სახელებით.

ოპერაში იდგმება „აბესალომ და ეთერი“, „ქეთო და კოტე“ და ბალეტი „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

შეიქმნა ქართული დროშა, ღერბი, ჰიმნი „დიდება“.

ჩაისახა ქართული საზღვაო ფლოტი.

დაიბეჭდა ქართული ფული და საფოსტო ნიშნები.

უცხოეთში მიევლინა საქართველოს ელჩები და მიღებულ იქმნა იურიდიული საერთაშორისო ცნობა ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოსი!

განცდით და სიამაყით ივსება გული, რომ გაიხსენებ — ქართველი — ყველა ამ წამოწყებას, საქმეს, მიღწევას, და ვმირულ ბრძოლებს ჩვენი მხედრების საქართველოს სახელმწიფო უშიშროების დაცვის საქმეში.

ეს სამი წელი იმდენად წარუშლელია, სამუდამოდ ისტორიაში შესული, შემდგომ აჯანყებების სისხლით ისე განოყიერებული და ზღუდეთ გარდაქმნილი, რომ 26 მაისის სიმაღლიდან საქართველოს კვლავ ეძლევა თამარ მეფის დროინდელი ეროვნული საზომი.

დიდება და უკვდავება ქართველ ერს!

გაუმარჯოს 26 მაისს!

ლ. ზურაბიშვილი.

პარიზის სათვისტომოს თავმჯდომარე

ვ. ნოზაძე.

საბჭოელი ქალი

საბჭოთა ქვეყანაში ყველა ბედნიერია, — განსაკუთრებით ბედნიერია ქალი! ასე ამბობენ და ასე სწერენ იქაურ სხვა და სხვა ჟურნალ გაზეთებში. ვინმე ზინაიდა კვაჭაძე, უკაცრავად, როგორ თუ ვინმე, იგი არის საქართველოს სსს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი — წარბშეუხრელად აცხადებს რომ: „მხოლოდ სოციალისტურმა წყობილებამ გაანთავისუფლა ქალი მონობისაგან, — ექსპლუატაციის ბორკილებიდან, გაჰოიყვანა იგი თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების ფართო გზაზე “-ო. და გატლეკილი ხოტბადიდების შემდეგ ქალბატონი ზინაიდა აღფრთოვანებით შესძახებს: „სად არ შეხვდებით დღეს ქალს, სოციალისტური მშენებლობის, რომელ უბანზე არ მუშაობენ ისინი, აბა ვის არ სმენია მეჩაიე თამარ ყუფუნიას , პირველი ტრაქტორისტი ქალის ელენე ნატროშვილის, რევოლიუციონერ ნატაშა ლომთათიძის, მწერალ მარიკა ბარათაშვილის, მსახიობ ვერიკო ანჯაფარიძის, ჰადრაკში მსოფლიო ჩემპიონის ნონა გაფრინდაშვილის, მქსოველ ციალა კვირიკაშვილის და სხვათა სახელები, რომელთაც თავიანთი თავდადებული და მუყაითი შრომით მოიპოვეს სახელი და დიდება “-ო. („სამშობლო“, 5 მარტი 1968 წ.)

აბა უყურეთ ამ ყბედ ქალს, შახმატის თამაშის განვითარებასაც რომ საბჭოთა რეჟიმს მიაწერს?! დიაღ, ვიცით, რომ ქართველ ქალებს ამუშავებდნენ აღმშენებლობაზე, სახლთა ამშენებლობაზე, სოფლის მეურნეობაში, ჩაიზე თუ თამბაქოზე, თურმე ტრაქტორისტებიც ყოფილან და ყოფილან აგრეთვე მწერალი ქალებიც (თითქოს ისინი ძველად არ ყოფილიყვნენ!). ავტორს დაავიწყდა

გაგრძელება იხ. მე-4 გვერდზე.



პრეზიდენტ ჟორჟ პომპიდუს გარდაცვალება

ა. წ. 2 აპრილს გარდაიცვალა საფრანგეთის მე-5 რესპუბლიკის მეორე პრეზიდენტი ჟორჟ პომპიდუ.

თუ გარდაცვალების ცნობა მოულოდნელი იყო, გაუკურნებელი სენი, ჩანს, დიდი ხანია ღრღნიდა მის ორგანიზმს, რადგანაც მსოფლიო პრესის კორესპონდენტები, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში, არა ერთხელ იუწყებოდენ პრეზიდენტის სახის არა ნორმალურ ცვალებადობას. მიუხედავად ამისა, საიდუმლეობა ისე კარგად იყო შენახული რომ უკანასკნელ წუთამდე ნამდვილათ ქვეყანამ არაფერი იცოდა თუ რა საშინელ ტკივილებს უმკლავდებოდა და თრგუნავდა პრეზიდენტი. უკანასკნელ სულის ამოსვლამდე მას ხელი არ გაუშვია სახელმწიფოს საჭესათვის.

ჟორჟ პომპიდუ იყო ფრანგი ხალხის ღრმა წიაღიდან გამოსული დიდი კულტურისა და ერუდიციის მქონე. პროფესიით ის იყო პედაგოგი, ლიცეის პროფესორი. ის შემთხვევით მოვიდა აქტიურ პოლიტიკის სარბიელზე. საფრანგეთის ლიბერაციის შემდეგ ჟ. პომპიდუ მიწვეულ იყო დე-გოლის კაბინეტის თანამშრომელად. ჩანს გენერალმა დიდათ დააფასა ახალგაზრდა ჟ. პომპიდუს ნიჭი და უნარი, მათ შორის ახლო ურთიერთობა მყარდება და 1962 წელს, დებრეს მთავრობის გადადგომის შემდეგ პრეზიდენტი დე-გოლი პრემიერ მინისტრად ნიშნავს ჟ. პომპიდუს, და ამ თანამდებობაზე იგი დარჩა 6 წლის განმავლობაში.

1968 წელში განთავისუფლებულ იქნა პრემიერ მინისტრის თანამდებობიდან, ხოლო 1969 წელს დე-გოლის პრეზიდენტობიდან გადადგომის შემდეგ, ჟ. პომპიდუმ წამოაყენა თავისი კანდიტატურა და კიდევ გაიმარჯვა საპრეზიდენტო საყოველთაო არჩევნებში.

საფრანგეთის პრეზიდენტად მან დაჰყო 5 წელიწადი. ამ ხნის განმავლობაში უმტკივნეულოდ ატარა სახელმწიფო გემი და როგორც საშინაო ისე საგარეო პოლიტიკაში საფრანგეთს არ განუცდია მწვავე კრიზისები.

თავისუფალი ტრიბუნა ულრმეს მწუხარების გამომხატველ სამძიმარს უცხედებს ქ-ნ კლოდ პომპიდუს, მის ოჯახს და მთელ ფრანგის ხალხს პრეზიდენტ ჟ. პომპიდუს გარდაცვალების გამო.

ჩვენი სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ-მა ლევან ზურაბიშვილმა სამძიმრის დეპეშებით მიმართა: საფრანგეთის პრეზიდენტის ფუნქციის დროებით აღმსრულებელს მის უდიდებულესობას პრეზიდენტ ალენ პოერს, და ელი სეს სასახლის გენერალურ მდივანს ბ-ნ ბალადურს.

მოძღვარმა ილიამ, კვირეს, 7 აპრილს, პანაშვიდი გადაიხადა პრეზიდენტ პომპიდუს სულის საველრებლად.



საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ დ'ესტენი

ა. წ. 19 მაისს ადგილი ჰქონდა საფრანგეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე და უკანასკნელ ტურს. საფრანგეთის უმაღლესი მაგისტრატურის მოპოვებას ერთმანეთს ეცილებოდენ პირველ ტურში გამარჯვებულნი: საფრანგეთის სოციალ-დემოკრატიული პარ-

ტიის ლიდერი ფრანსუა მიტერანი, და დამოუკიდებელ რესპუბლიკელთა ეროვნულ ფედერაციის ლიდერი ჟალერი ჟისკარ დ'ესტენი. მომხრე ძალთა თანაფარდობა ბოლომდე რჩებოდა თანაბარი და საბოლოოდ მხოლოდ ხმების მცირედი უმრავლესობით (50,80 %-ით, — 49,20 %-ით წინააღმდეგ) არჩეულ იქნა უკანასკნელი.

ამრიგად 48 წლის ასაკში ვალერი ჟისკარ დ'ესტენი ხდება, საფრანგეთის რესპუბლიკის ისტორიაში მე-20, ხოლო მეხუთე რესპუბლიკის მესამე პრეზიდენტი.

ახალ პრეზიდენტს ,თავის უმაღლეს ფუნქციის შესრულებაში, ვუსურვებთ სრულ წარმატებას დიდი ფრანგი ერის საკეთილდღეოდ.

საბჭოელი ქალი. იხ. დასაწყისი 2-ე გვერდზე.

ბაგები, დაავიწყდა ოჯახის განადგურების აჰბავი, დაავიწყდა ცოლქმრობის მოშლის წესი, რაც ბოლშევიკებმა დაამყარეს.

ერთჯერ პროფესორმა ქსენია სიხარულიძემ წეაქო ქართველი დედა: ბედნიერი არისო იგი! რა ენაღვლება! თავის თავს თვლის იგი ბედნიერად და სხვაც ბედნიერად მიაჩნია!

მარიკა ბარათაშვილი პოეტი ქალია და ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორი. „კომუნისტ„-ში (8 მარტის 1967 წ.) იგი ათავსებს წერილს ამ თარიღთან დაკავშირებით, რომელიც „დედის დღეთ" არის გასაღებული. იგი სხვა ტრაბახთა შორის, წერს:

„დღეს საუკუნოებრივი მონობისაგან განთავისუფლებული ქალი სასწაულებს ახდენს. მარტო საქართველოში, 383 ქალი სოციალისტური შრომის გმირია, 23 282, — ორდენოსანი. (გაზეთ „სამშობლოში კი წერია 25 949 შრომის გმირი), და რამდენი შესანიშნავი მეცნიერი სპეციალისტი, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკი, სპორტსმენი! ჩვენს პატარა ქვეყნის თავმოსაწონად ჭადრაკის 2 დედოფალიც ეყოფოდა!

ჯანა საამაყო არ არის, თუ გნებავთ, ამბავი, რომ გეგეჭკორელი კოლმეურნე ქალის მკერდს ორი ჯილდო ამშვენებს: „გმირი დედა" და „სოციალისტური შრომის გმირი"?

„ჩვენს წლევანდელ დღესასწაულს განსაკუთრებულ იერს მატებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლიუციის ნახევარსაუკუნოვანი იუბილე"-ო და სხვა.

დ. ქორიძე, თავის წიგნში; „თავისუფლებისათვის ბრძოლი ქართველი ქალები" (თბილისი, 1961 წ.) თვალის დაუბამხამებლად გაიძახის:

„გასათხოვრად გამზადებული ქალი პირველ ღამეს ბატონისა უნდა ყოფილიყო. ამას ბევრი მებატონე ჩქაცრად იცავდა, რის გამოც საცოლქმროდ განწყობილ ახალგაზრდებს სიცოცხლეს უწამლავდა. თავაშვებული მებატონეები ქალებს ჰყიდნენ, იტაცებდნენ, ნამუსსა ჰხდიდნენ, ან ასაჩუქრებდნენ. ამიტომ ყმა-გლეხები ცდილობდნენ, ვისაც ლამაზი ქალები ჰყავდათ, რაც შეიძლება ადრე გაეთხოვებიათ"-ო. (გვერდი 35)..

„ოქტომბრის რევოლიუციის ქარიშხლიან დღეებში ქართველი ქალები, რუს ხალხთან ერთად იბრძოლნენ დიადი მომავლის მოსაპოვებლად"-ო. გვ. 38).

საიდან გამოიგონა ასეთი ამბავი დ. ქორიძემ?

არის იგი ისტორიული ფაქტი? მის ფაქტობას უარყოფენ მეცნიერები ევროპის ცხოვრებაში და განა ძარტო საქართველოში იყო ასეთი ჩვეულება? ეს არის უკანასკნელ ხანაში დარხეული ჭორი, რითაც სურთ წარსული დაამხელონ და გააშავონ.

იბრძოლნენ ქართველი ქალები „ოქტომბრის რევოლიუციის ქარიშხლიან დღეებში," —არ გამიგონია ქართველი ქალების ბრძოლა ოქტომბრის რევოლიუციაში, გარდა ერთი ორი მეტიჩარა ქალისა, რომელიც ბავშვობიდან ბოლშევიკობდნენ.

მე გამოკვლევას არ ვწერ, მაგრამ ზოგადად მაინც მიმოვიხილავ ქალთა საკითხს წარსულ ქართულ ცხოვრებაში.

ძველად როგორც კლასიკურ საბერძნეთში, ისე ევროპაში და საერთოდ აღმოსავლეთში დედაკაცი მძიმე მუშაობას არ ეწეოდა, — ამიტომ ქალებს შენახული და დაცული ჰქონდათ ქალური ტიპი და სილამაზე. წარმოუდგენელი იყო ანტიკური შეხედულებისათვის, რომ დედაკაცს პირუტყვივით ემუშავა ყანაში, თუ მაღაროში, ან ვითარცა ადამიანურ მანქანად გადაქცეულიყო საწარმოვო დანაწესებში.

დრ. რ. გუენთერ ფიქრობს, რომ პირველად აღმოსავლეთში წარმოიშვა და რელიგიურ დებულებად გადაიქცა ის აზრი, რომ დედაკაცი მემკვიდრეობით ცოდვილი არისო და ამან გამოიწვია ის ამბავი, რომ მონათა მძიმე სამუშაო, სულისა და ხორცის გამანადგურებელი შრომა დედაკაცებს დაეკისრათო. რომანულ ქვეყნებში, სადაც ეკლესია გაბატონებული იყო, დედაკაცს დაბალ არსებად სთვლიდნენ და მდაბიორი მას მეტყველ სამუშაო ხვასტაგად სახავდა-ო. (დოქტორ რ. გუენთერის „კულტურგეხტეშე დერ ლიბე" ბერლინი 1899. გვ. 265.)

ძველ საქართველოში, თუ როგორი იყო დედაკაცის მდგომარეობა, ამის შესახებ მასალები არა მაქვს, მაგრამ ვიცნობთ ხომ დავით გურამიშვილის (1705 — 1792) შესანიშნავ ნათქვამს, როდესაც იგი ლეკთა ტყვეობიდან გაიპარა და ამბობს:

„გავხედე ჩერქეზთ მინდორსა,
ნისლი იდგა შავი ზღვისა,
სამი ქალი თივას თიბდა,

სამივ ჩერქეზთ ბატონისა,
გამიკვირდა, არ მენახა
მუშაობა დიაცისა“-ო

აქედან ის დასკვნა გამოდის, რომ დავით გურამიშვილს, ქართლელ თავადს, რომელიც სოფლად ცხოვრობდა არ ენახა აქამდე ქალის, დიაცის მუშაობა და სწორედ ეს გაუკვირდა მას. მაშასადამე, ძველ საქართველოში დედაკაცები სოფლის მძიმე მუშაობას არ ეწეოდნენ.

მეცხრამეტე საუკუნეში იგივე მდგომარეობა იყო და ამას გვიდასტურებს აკაკი წერეთელი, როცა ამბობს — სოფლად ქალების „ხელშია საქონლის მოვლა, ფრინველების პატრონობა, სახლის დაგვა-დასუფთავება, სადილ-ვახშმის დამზადება“-ო.

ილია ჭავჭავაძეც თავის „ოთარაანთ ქვრივ“-ში ამავე მოვლენას ადასტურებს ირიბულად. ოთარაანთ ქვრივი მუშაობს ბარითა და თოხით, — „თუმცა სოფლელები იძახდნენ: — ვის გაუგონია დედაკაცის ბარი და თოხიო, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი ამას არ დაგიდევდათ“-ო, ამბობს ილია.

— : —

ევროპაში ინდუსტრიალურ ხანაში დედაკაცი შევიდა სამუშაოდ ბიუროებში, ქარხნებშიც კი, ოღონდ იოლ სამუშაოზე. ლიბერალური ხელობაც დაიპყრო მან, არიან: მეცნიერები, ექიმები, ვექილები და სხვა ხელობის ქალები. ასე მოხდა კაპიტალისტურ ქვეყნებში და ასე არის ახლა სოციალისტურ ქვეყანაშიც, იმ განსხვავებით, რომ ისეთ სამუშაოებზე როგორიცაა მაღაროებიდან მადნის მოთხრა, გზების და ქუჩების მოასფალტება, რკინისგზის ლიანდაგების დაგება. სახლების მშენებლობაზე კალატოზები, ხუროები თუ შავი მუშები, და საერთოდ ისეთი დარგები, რომლებიც ქალის ნაზ ბუნებას არ შეეფერება ლიბერალურ რეჟიმში ქალის შრომას არ იყენებენ, ხოლო საბჭოთა კავშირში ქალის შრომის ექსპლუატაციას საზღვარი არა აქვს.

მატაოცი არის ის, ვისაც ყველაფერი თავისი მოსწონს; ვინც თავისას სხვას ახარბებს. რამდენი მატაოცი არის საბჭოთა კავშირში, ამას ვინ დათვლის. მაგრამ საბჭოთა მატაოცი მაინც სხვა ჯიშის არის: იგი სიცრუით, ტყუილით ტრაბახობს, სინამდვილეს მალავს და გარედ საკვეხნად და სატრაბახოდ ამ ტყუილს სინამდვილედ ასაღებს. ასეა, ბატონო!..

საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა, ზინაიდა კვაჭაძემ გაზეთ „სამშობლო“-ს ფურცლებზე „გაზაფხულის დღესასწაული“ მოგვილოცა და როგორც საჭირო იყო ქართველი ქალის ხოტბა დასწერა. მაგრამ ამას გარდა გვაცნობებს, რომ ქართველი ქალები „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების მხურვალე მხარდამჭერნი არიან და იბრძვიან იმისთვის, რომ დედამიწაზე სამუდამოდ დამკვიდრდეს მშვიდობა, თავისუფლება, ძმობა და ბედნიერება“-ო. ისემც კარგი დაგემართოთ! ამას რა სჯობია?

**
*

თავის წერილში (1973 წლის სექტემბრის ხუთი) საბჭოთა კავშირის ბელადების მიმართ ა. სოლჟენიცინი ეხება საერთოდ ქალთა მდგომარეობას და რუს ქალთა შესახებ წერს —„ჩვენ ბევრს ვტრაბახობთ ქალთა თანასწორობის მიღწევით, საბავშო ბაღებით და ვმალავთ, რომ ყველაფერი ეს არის დაშლილი ოჯახის ნაცვლად. თანასწორუფლებიანობა ქალთა იმაში კი არ არის, რომ მათ დაიკავონ იმდენივე სამუშაო ადგილები და საპასუხო რის პოსტები რამდენიც აქვთ მამაკაცებს, არამედ არის მხოლოდ ამ ადგილთა პრინციპული მიცემა ქალთათვის. ნამდვილად კი მამაკაცის შემოსავალი უნდა იყოს იმოდენა, რომ ოჯახში სადაც ორი ან ოთხი შვილი არის, დედაკაცს არ უნდა სჭირდებოდეს კიდევ ცალკე შემოსავალი გაიჩინოს, რათა ოჯახს, თავის შრომისა და ზრუნვის გარდა — ფულითაც დაეხმაროს. ხუთწლედების ადევნებაში ჩვენ არასოდეს არ ვაძლევდით მამაკაცებს იმდენ შემოსავალს, და დაშლა და განადგურება ოჯახისა არის ჩვენ ხუთწლედთა ერთერთი საშინელი ჭირა, და როგორ არ უნდა შეძრწუნდეს გული სირცხვილით და საცოდაობით, როცა ჩვენ ვხედავთ ჩვენს ქალებს, რომელთაც გადააქვთ მასალა გზების გასატკეცად, რკინისგზის დასაგებად? ვხედავთ რა ასეთ სურათს, რაღაზე უნდა ვილაპარიკოთ? რაში არ დავეჭვდეთ? რათა ვავათავისუფლოთ ისინი (ქალები) სეთი ღამცირებისაგან— როგორ უნდა უარვყოთ სამხრეთ ამერიკელ რევოლუციონერთა დაფინანსება?“

და სოლჟენიცინი მოითხოვს გათავისუფლდეს ქალი ჭირის კატორღისაგან, განსაკუთრებით „ოტ ლომა ი ლოპატი.

(იხლეთ ა. სოლჟენიცინ: „პისმო ვოჟდიამ სოვეტსკოგო სოიუზა. პარიჟ, 1974 წ. გვერდი 34—35 და 47.)

ვ. ნოზაძე.

საბჭოთა რეჟიმის ხასიათი

ალიარებული ფაქტებიდან.

თბილისის კომუნისტურ საპროპაგანდო ჟურნალში სამი სიტყვაა განმარტებული: **ბატონი, მეგობარი და ამხანაგი.** ცხადია, სალექსიკონო შრომა ყოველთვის სერიოზულ კვლევა-ძიებას მოითხოვს, მაგრამ ეს სიტყვები იმდენად გადაკავშირებული არიან ქართველ ადამიანის წარსულ და სადღეისო ჭირვარამთან, იმდენად ახლოა მის გულთან და გონებასთან, რომ მათი გაგება მისთვის თავსატეხ საქმეს არ წარმოადგენს.

სამწუხაროდ ეს ასე არ არის თბილისელი რედაქტორისათვის. ფრაზეოლოგიაში გახვეულ მის მსჯელობას ჟურნალის მთელი გვერდი უჭირავს, მაგრამ შედეგად მაინც ბუნდოვან და გაურკვეველ დასკვნებს ტოვებს. იმის მაგივრად რომ მკითხველს გააგებინოს თუ რა ნამდვილი ფასი და მნიშვნელობა აქვთ იმ ტერმინებს საბჭოეთში, ქარაგმულად სიტყვებს უქცევს და ჰგონია ყველა დაჯერა იმაში ვითომ „ლენინის სამოთხეში“ ადამანი და მისი სახელწოდებანი უდიდეს პატივისცემაშია!!!

ამით, რა თქმა უნდა, შრომა სიცილის ამტეხ საგნადაა გადაქცეული.

ეს სიტყვები როგორ შემოვიდენ ჩვენს მეტყველებაში და რა როლს ასრულებენ დღევანდელ საქართველოში? აი, ჩვენი თემა.

ბატონი. ბატონყმობის გაუქმებიდან ბატონი და ყმა სოციალურ კატეგორიებად აღარ დარჩენილან, მაგრამ სახელწოდება **ბატონი** ჩვენს მეტყველებას მაინც ვერჩა იმ შესწორებით, რომ იგი ახლა გუშინდელ ბატონსაც და ყმასაც ეკუთვნოდა ე. ი. ყველას, ვინც ბატონყმობას ზურგი შეაქცია და ადამიანის განთავისუფლებისა, გათანასწორების გზას დაადგა. დიდი ხნიდან დაწყებული ასეთი პროცესი 1918 წელში აღმსდგარმა საქართველომ კანონიერად ააგვირგვინა: წოდებრივი უპირატესობა მოხსნა და ყველა ქართველს თანასწორი სოციალური და პოლიტიკური უფლებები მიანიჭა. ერთმანეთისადმი „ბატონობით“ მიმართვამ კი, ჩვენს ზნე-ჩვეულებებსაც შეეგუა და შეეთვისა. ამ სახით, **ბატონი ვანთავისუფლებული ადამიანის სახელწოდებად გადაიქცა.**

მეგობარი. მეგობარი იმ დროინდელი სიტყვაა, როცა სადილს გობის ირგვლივ მიირთმევდენ და მეგობრები ზდებოდენ. ფრიდონი ტარიელისა და ავთანდილის მეგობარი **იყო.**

ამხანაგი. ამხანაგი კი, საერთო საქმის (ყველა დარგში) მონაწილე ადამიანია, ამხანაგობის სწორუფლებიანი წევრია. იმდღიდან, როცა ავთანდილმა გადასწყვეტა ნესტანის გამოსახსნელად ტარიელთან ერთად თავი დაედო, იგი ტარიელის ამხანაგი გახდა.

საბედნიეროდ, მაშინაც კი, როცა საზოგადოება წოდებრივი თუ სხვა მაგვარი უპირატესობითაა გათიშული, მეგობრული თუ ამხანაგური გრძნობა ვიწრო ფარგლებში, მაგრამ მაინც სუფევს. იგი ერთბედსქვეშ მყოფ ადამიანებში ვრცელდება და გასაჭირში მათი გამხნევების იმედად რჩება. როცა ადამიანის ადამიანზე ბატონობა შემცირებას იწყებს, ადამიანური დამოკიდებულება ფართოვდება და იგი ხელშესახები და სრულყოფილი, მხოლოდ თანასწორუფლებოვან ადამიანთა საზოგადოებაში გახდება

საბჭოეთში არსებობენ თანასწორუფლებიანი ადამიანები? არა, და არც არის იმედი ამას ელოდოს. ნაბეჭდ ლები, სანამ მათი საზოგადოება ლენინის მსოფლმხედველობაზე აგებული რჩება.

ეგ მსოფლმხედველობა მართლაც საოცარია იმით რომ მისი თეორია და სამოქმედო ხაზი ერთმანეთთან დიამეტრალურად დაპირისპირებულია. ლენინის ასეთი ორაზროვნობის გამოცნობით გატაცებული მისი ბიოგრაფი შემდეგ ცნობას იძლევა: ოქროს მედალით სავეკილო კურსდამთავრებული ახალგაზრდა ლენინი ათ საქმეს ზედი-ზედ წააგებს. რატომ? იმიტომ, რომ მსჯელობებზე საშინელი გავლენა მოუხდენია... ამ რიგა, ჩია ტანისა და ჯიბეებში ხელებ ჩაწყობილი ვეკილის სიტყვები, თურმე წინ უსწრებდენ მის მომიკას. ამის გამო მისი სიტყვა არც მომხიბლავი იყო და არც დამაჯერებელი.

ბიოგრაფი ლენინის ასეთ გაორებას იმით ხსნის რომ, მისი ერთი ბებია (მამის დედა) კალმიკი ყოფილა, ხოლო მეორე (დედის დედა) — გერმანელი. ამ ორი ტემპერამენტის ჭიდილი მუდამ გაჩაღებული იყო მის სულსა და ხორცშიო...

ამ ბიოგრაფის ხარვეზს, (თუ ის აღმოჩნდებაა) გენეტიკოსები გამოასწორებენ, მხოლოდ მათთვის, ვინც ახალ დასტამბულ ლენინის სტატიებს ვკითხულობდით და მისი არმიებისა და ჩეკის მოქმედების უშუალო მოწამენი ვიყავით, ეჭვს გარეშეა, რომ როცა ლენინი ევროპულ სოციალიზმზე ქადაგობდა, აზიურ დესპოტიზმის განხორციელებაზე ოცნებობდა...

საქართველოსთან დაკავშირებით ზოგიერთი მაგალითი მოვიყვანოთ.

ვეკილობაზე გულაყრილმა ლენინმა გასოციალ დემოკრატდა და საზღვარგარეთ პარტიის კონფერენციებს ეს-წრებოდა. აქ მისი შეხედულების წინააღმდეგ ნოე ჟორდანიამ სასტიკად გაილაშქრა. ლენინმა თავი მოიკატუნა და განაცხადა — ჩვენ კავკასიის სოციალ-დემოკრატების შინაურ საქმეებში არ ვერევით და ნურც ისინი ჩაერევიან ჩვენს საქმეებშიო. ყველამ ვიცით, როცა ლენინმა რუსეთში ხელისუფლება აიღო, როგორ ჩაერია კავკასიის საქმეებში!..

მაგრამ ლენინმა ყველაზე უფრო პარტიის პროგრამის იმ მუხლის განმარტებაში გამოიდო თავი, რომელიც მცირე ერთა თვითგამორკვევას ეხებოდა. იგი მრავალგზით წერდა, რომ ყველა ერს თვითგამორკვევის უფლება უნდა მიენიჭოს და ეს მაშინაც კი, თუ იგი ამას თავისი დამოუკიდებლობის გამოცხადებით გამოხატავსო.

თებერვლის დიდი რევოლუციის მეოხებით ასეთი თვით გამორკვევა საქართველომაც მოახდინა , მაგრამ ლენინს „დააკოწყდა“ წინადროის ქადაგი და თავისუფალი საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ბრესლიტოვსკში გერმანელების მოკავშირე თურქეთს გადასცა.

საბედნიეროდ, მაშინდელმა საქართველომ თავისი ერთსულოვნებითა და ჭკუადახედულობით ლენინის მიერ თავდადებული გართულებანი გადალახა და თავისუფლება შეინარჩუნა, მაგრამ ლენინის იეზუიტობა ამითი არ გათავებულა...

ლენინი ჩაუდგა თუ არა სათავეში რუსეთის ახალ იმპერიას, დიდი ზეიმით გამოაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი ერთა ნებაყოფლობითი გაერთიანებაა და კავშირში შემავალ ერს კავშირიდან გასვლის უფლება რჩება. თუ ამას იგი მოისურვებსო.

კულტურულ ქვეყნებიდან ცნობილი ახალამდგარი საქართველო აღორძინების გზაზე იდგა. საქალაქო და სასოფლო მეურნეობამ განვითარება იწყო, ქვეყანამ ეკონომიურად სული მოითქვა, გაუმჯობესდა მისი ფინანსიური მდგომარობა, დაწინაურდა იგი სოციალურად, და სკოლის ქსელი მოედო მთელ ქვეყანას. ყველა სოციალისტური და არასოციალისტური პარტია დემოკრატიული და პატრიოტული პარტია იყო. ქვეყნის ყველა დაბრკოლება, ყველა პრობლემა დემოკრატიულად იყო დაძლეული და გადაწყვეტილი. **ქართველი ადამიანი თავისუფალი იყო, თავისუფალ სამშობლოში იყო და ამიტომ იყო და იქნებოდა იგი ძლიერი.** ეს ლენინსაც ასე ესმოდა და ეს უხუთავდა სულს. მისთვის, მის მიერ დარბეულ უზარმაზარ ქვეყნის გვერდით, თავისუფალი და აღორძინების გზაზე შემდგარი პატარა ქვეყნის არსებობა სასახელო საქმე არ იყო და თან საქართველოც გემრიელი ლუკმა იყო.

ისტორიულ საბუთებში გადარჩენილია ლენინის მიწერ-მოწერა თავის სამხედრო შტაბთან, თუ მთელი წლების განმავლობაში როგორ სწავლობდენ და ამზადებდენ თავისუფალ პატარა საქართველოზე თავდასხმას.ამ საქმეში ლენინის ორპირობამ, მართლაც, რომ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია...

ლენინმა ჯერ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იცნო, მასთან თავდაუსხმელობის პაქტი დადო, ელჩი გაცვალა. ხელისმოწერა შემშრალიც არ იყო რომ მისი ჯარი საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა. ქართულმა მხედრობამ იგი სასტიკად დაამარცხა და შერცხვენილი ლენინისაკენ მიაბრუნა. საქართველოს დაპყრობა არც ისე ადვილი აღმოჩნდა.

მორიგი მზაკვრული თავდასხმის მოსამზადებლად, მთელი რვა თვის განმავლობაში ლენინისა და მისი მხედარმთავრების ნერვები დაიჭიმა, სამი არმია ფეხზე დადგა და საქართველოს აღმოსავლეთის, ჩრდილოეთის და დასავლეთის კარებს მოადგა. სამხრეთიდან მისი ძველი მეგობარი თურქეთი დაიკავშირა და ომის გამოუცხადებლად, ქურდულად, **ლენინისებურად** თავს დაგვესხა..

1921 წლის თებერვლის დღეებში თბილისის დაშცველი ქართველი პატრიოტების სისხლით შეიღება **შავნაბადა, ტაბახმელა, კოჯორი...**

ამ დროს ლენინმა ისე, როგორც წინ და შემდეგაც სხვა განთავისუფლებული ერები, საქართველოც დაიპყრო და თავის „კავშირიში“ ამოაყოფინა თავი და ისე, როგორც წინათ და მერმე სხვა მრავალი [illegible] ადამიანის თავისუფლება, ქართველი ადამიანის თავისუფლებაც შელახა და შემუსრა...

იმის გასაგებად, თუ ლენინის პრინციპებზე აგებული საზოგადოება და ცივილიზაცია როგორ **ადამიანს ჭქმნის** საქართველოში, მოუსმინოთ ერთ ქართველ მწერალს:

„დამწვარი, დადალული, დაბუნძღული, დაპატარავებული ჯაფისაგან და მზისაგან, დგება მერცლის გაღვიძებისას, იცვამს, იბანს პირს, იხურავს ქუდს და მიდის სამუშაოდ. მუშაობს მთელ დღეს, ჩუჩუნ-ჩუჩუნით, ჩაჩერილი, ჩაჩოქილი, მიწასთან, ყრუ-მუნჯივით, ხელებით მოლაპარაკე. ხშირბინდისას ძლივს მოაღწევს შინ, შეჭამს საჭმელს—აკანკალებული, მოკაუჭებული თითებით, დაწვება, დაიძინებს და ისევ მერცხლის გაღვიძებისას წამოუდგება ღვთისაგან ნაბოძებ დღეს. მუშაობს, ჭამს, ძინავს და არასოდეს არ იტყვის, რატომ აკეთებს ყოველივეს ასე.

„დაუძახებენ ომში, ისე წავა, როგორც ვენახსა და მინდორში. სიკვდილის წინ დაეწმინდება სახე გულის გასახსნელად, წამოიწყებს კიდეც — დედაო—მაგრამ აქაც ვერ მოახერხებს სათქმელის თქმას და წავა დიდი ხნის უნახავ დედასთან და იქ წაიღებს ყველაფერს.“

აი, როგორ თვინიერ და მორჩილ ცხოველად გარდაუქმნიათ თავისუფლების მოყვარული ქართველი საქართველოში!..

ძალაუნებურად მახსენდება გასული წლის ოქტომბერში ანდრეი კირილენკოს მიერ კრემლიდან საბჭოთა საქართველოსთვის ფეშკეშად ჩამოტანილი ერთი გოჯა ლენტი. ეს ლენტი მან თავისი ხელით მიაბნია საბჭოთა საქართველოს დროშას და ამ „საზეიმო მომენტში“ წარმოთქმული ფეოდალური სიტყვით აღნიშნა, რომ საქართველომ კრემლის წინაშე თავისი მოვალეობა კარგად მოიხადა და იგი ამ დიდი საჩუქრის ღირსიაო. საქართველოს კომ. პარ. პირველმა მდივანმა, თავის საპასუხო სიტყვაში, ხაზი იმას გაუსვა, რომ **ლენინის სიმართლემ** და **მისმა განმათავისუფლებელმა იდეამ გაალამაზა ქართველი ადამიანიო.** სწორი თქმაა... ქართველი მწერლის მიერ ზემოთ დახატული ქართველი მშრომელის პორტრეტი, მართლაც, რომ **ლენინის სიმარლესავით** და **მის განმათავისუფლებელ იდეასავით ლამაზია...**

მაგრამ სილამაზე თქვენ ამ სიტყვა-პასუხის ავტორების უნდა ნახოთ! კრემლის უხეში სვეტივით აყუდებულ კირილენკოსთვის და მიწაზე მონასავით გართხმულ შეკარდნაძისთვის. **სიმართლე** და **თავისუფლება** ჰზოლოდ ლენინისებურია.

ლენინის კატეხიზმით თვალებდაბნელებულები ვერ ამჩნევენ რომ ორ კონტინენტზე გადაჭიმული საბჭოთა ტერიტორია, როგორ არის შემოქალტული სამარცხვინო კედლით და ელექტრიზებული ქაცვიანი მავთულით. რასაც კბილებამდე შეიარაღებული ჯარი და საგანგებოდ დაგეშილი ძაღლები სდარაჯობენ, რომ **სიმართლესა** და **თავისუფლებას** დანატრებული საბჭოელები საზღვარგარეთ არ გამოიპარონ.

დროზე მიუსწრეს, თორემ აღმოსავლეთი გერმანია მთლიანად დასავლეთში გადმოსახლდებოდა. რეჟიმის შესაფასებლად ამაზე უზენაესი მსჯავრი არ არსებობს...

ამა მიბრძანეთ ასეთ საზოგადოებაში, ასეთ ცივილიზაციაში რა მნიშვნელობა აქვს ადამიანს ბატონობით მიმართავ, მეგობრობით თუ ამხანაგობით?

მხოლოდ ორდინატორს შეუძლია დათვალოს, თუ საბჭოთა რეჟიმმა — ილიჩიდან ილიჩამდე — თავისუფლებისათვის მებრძოლი რამდენი მილიონი ადამიანი გამოასალმა წუთისოფელს.

დიახ, ეს საფლავები ყვირიან, აზანზარებენ საბჭოეთს, აზანზარებენ სამარცხვინო კედლებს და მათი ხმა

გ. წერეთელი.

---

53 წლის შემდეგ . . .

(გაგრძელება.)

როგორც პირველ წერილში მოგახსენებდით, 53 წელია, რაც უწყვეტად არსებობს ქართველი პოლიტიკური ემიგრაცია. 53 წელი დიდი დროა ადამიანის ცხოვრებაში. მართალია პირველ ემიგრაციის შემდეგ თანდათან ემატებოდა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე. ხოლო მის შემდეგ ახალი ცვლა აღარ მოსულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ან ორ შემთხვევას. დროს თავისი გააქვს. ბევრი მამულიშვილი უცხოეთის მიწას მივაბარეთ, დარჩენილებს სიბერე გვჭირს, ყველაზე ახალგაზდრა ჩვენს შორის 50 წელზე ნაკლების მქონე არ მეგულება, (რა თქმა უნდა მე პოლიტიკურ დევნილებზე ვლაპარაკობ და არა აქ—სამშობლოს გარედ დაბადებულ ახალგაზრდებზე.) რიცხობრივმა შემცირებამ, ფიზიკურად და სულიერად ამ ბანგრძლივმა დრომ შეიძლება ეჭვი დაგვიბადოს ჩვენი საქმის გამარჯვებაში, ცდუნებამ გვძალიოს ეშმაკთან დაზავებისა. საბედნიეროდ ეს ასე არ არის, მიუხედავად საბჭოთა პროპაგანდის განუწყვეტელი და მეთოდიური ზემოქმედებისა, მიუხედავად ემიგრაციის ძნელბედობისა, და მიუხედავად დასავლეთის დემოკრატიის სიბეცისა — **ქართველი გადმოხვეწელები მისი დიდი უმრავლესობით მტკიცედ დგანან ეროვნულ პოზიციაზე** , ძალმომრეობის წინაშე ქედს არ იხრიან, სასოწარკვეთილებას არ ეძლევიან, იმედის ნაპერწკლებს გულში სათუთად ინახავენ.

*) დასაწყისი იხ. Ო. ტ. № 2 . მარტი 1974წ.

ეს ამ ეროვნული ენერგიის, ეროვნული ენერგიის, ეროვნული ენერგიის,

თუ ვიხელმძღვანელებთ ელემენტარული დემოკრატიული მეთოდით: უმრავლესობა მოიწონებს ამა თუ იმ გზას უმცირესობა განზე კი არ გადგება, ხელს კი არ შეუშლის, არამედ ლოიალურად ითანამშრომლებს უმრავლესობასთან. არც ერთ პარტიაში არ არსებულა , არც არსებობს აზრთა სრული იგივეობა, მაგრამ ყველა წევრს ერთი და იმავე პარტიისას საერთო აქვთ ერთი ან რამოდენიმე ძირითადი პრინციპი, რომლის ირგვლივაც მთელი პარტია ირაზმება. რა არის მთელი პოლიტიკური ემიგრაციის მთავარი და თუ გნებავთ უზენაესი პრინციპი? — ეს არის **ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება უცხო ერის დაპყრობისაგან და რომ საშუალება მიეცეს ქართველ ხალხს თავისუფლად, ყოველგვარი ძალადატანების გრეშე განსაზღვროს და მოაწყოს თავისი აწმყო და თავისი მომავალი.**

თუ როგორი უნდა იყოს ეს მომავალი: მონარქია, თუ რესპუბლიკა, ლიბერალიზმი თუ დირიჟიზმი, სოციალიზმი თუ კერძო წარმოება და კერძო ინიციატივა? ყველა ამ საკითხებზე არ შეიძლება ყველას ერთი და იგივე აზრი გვქონდეს, ამიტომ არა მარტო შესაძლებელი, არამედ სასურველიც არის არსებობდეს სხვა და სხვა პოლიტიკური პარტიები, სხვა და სხვა პოლიტიკური დაჯგუფებები, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგვიშალოს ერთად ვწიოთ ჭაპანი იმ ძირითადი იდეალის განსახორციელებლად, რაც არის ჩვენი გადმოხვეწილობის დედაზრი.

ამ ზემოდ თქმულს აძლიერებს კიდევ ორი ჭეშმარიტება: ერთი, რომ **ომის პირობებში მხოლოდ ერთი მთავარი შტაბი უნდა არსებობდეს,** და მეორე 53 **წლის შემდეგ ემიგრაცია რიცხობრივად და ფიზიკურად ისე დასუსტებულია, რომ მნიშვნელოვანი ეროვნული საქმიანობის** წარმოება მხოლოდ გაერთიანებული ძალებით **შეიძლება.** არ უნდა დავივიწყოთ კიდევ ერთი ჭეშმარიტება: **ემიგრაცია არა მარტო სიმბოლო, არამედ მოტორიც უნდა იყოს ეროვნული განთავისუფლების.**

თუ ემიგრაციის ერთი საერთო პოლიტიკური ორგანიზმის უქონლობა სამწუხაროა, ის ფაქტი, რომ ემიგრაციის ერთი დიდი ნაწილი სრულიად გამდგარია პოლიტიკურ საქმიანობისაგან, სავალალოა და გაუგებარიც. ჩვენ ხომ ავანტურის ძებნას ან ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას არ მოუყვანივართ უცხოეთში, როგორც ამას ცდილობს დაგვარწმუნოს გაზეთმა „სამშობლომ“, **არამედ უარმა დავმორჩილებოდით ძალმომრეობას და მანამ სანამ ეს ძალმომრეობა არსეობს, როგორ შეიძლება თავი ვიგრძნოთ ჩვენი მოვალეობისაგან განთავისუფლებულად, ბედს მივანდოთ ჩვენი სანუკვარი საქმის განხორციელება და ჩვენ კი მას არაფერში დავეხმაროთ.** იქნებ ზოგიერთს ადამიანებმა და მოვლენებმა გული გაუტეხეს? გულგატეხილობა ყველაზე ცუდი მრჩეველია, დამღუპველიც კი. დიდი აკაკი ბრძანებდა: „გულგატეხილი რაღა კაცია? კაცს მაშინ შვენის ქვეყნად არსება, თუ ცხოვრებაში ის მამაცია.“ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოვლენები სწრაფად იცვლებიან და თუ მის შესახვედრად მუდამ მზადებაში არა ხარ ისე ჩაგიჭოლებს თვალსაც ვერ მოასწრებ.

არავინ არ იფიქროს არაფრის გაკეთება არ შეგვეძლოს. ჩვენ თუ მთელს ჩვენს საშუალებებს შევაერთებთ ძალიან დიდი საქმის გაკეთება შეგვიძლია. ოღონდ, წების ყოფა და სურვილი ამისა უნდა გამოვლინდეს, რაც შეიძლება უფრო მასიურად.

მე ამ წერილს პლატონიური მოსაზრებით კი არ ვწერ, არამედ იმ იმედით, რომ ყველა კონტინენტზე გაფანტული ჩვენი თანამემამულენი კარგად ჩაუფიქრდნენ და მიიღონ სათანადო გადაწყვეტილებანი, რათა დეკემბერის 53 წლის შემდეგ მაინც შეეძლოთ მასიურად დარაზმვა, რომ ამრიგად ჩვენი მამულიშვილური ეალი ღირსეულად მოვიხადოთ, როგორც აწმყოს ისე ისტორიის წინაშე.

გ. წერეთელი.

დ. ვაშაძე.

რუსეთის გეგმა ევროპაში

ინტერნაციონალური პრესა სამართლიანად ღელავს და ვერ გამოურკვევია, თუ რატომ რუსები ასე მძლავრად იარაღდებიან ევროპის ფრონტზე. ზოგიერთები ამას ხსნიან მოსკოვის ფრთხილ ღონისძიებებზე ჩინეთ-რუსეთის ომის შემთხვევაში, სატელიტებში მოსალოდნელ მღელვარებით. ბევრი მათგანი კი რუსეთის და საერთოდ აღმოსავლეთის ბლოკის მზადებაში, ჯერ კიდევ ხრუშჩევისა და მარშალ ჟუკოვის სამხედრო გეგმის „პოლარკა“-ს სისრულეში მოყვანის განზრახვას ხედავს.

ავსტრიის კვირეული ჟურნალი „პროფილ“ აქვეყნებს კრემლის საიდუმლო გეგმას, რომელიც იუგოსლავიის წინააღმდეგ ოპერაციასთან ერთად მთელი სამხრეთ ავსტრიის ოკუპაციასაც შეიცავს. ჩეხელ გენერალ ჟესნას, კომუნისტური პარტიის პირველ სეკრეტარს, პრაგის სამხედრო თავდაცვის სამინისტროში პასუხისმგებელ პოსტის ხელმძღვანელს, დღეს ამერიკის საიდუმლო პოლიციის მფარველობის ქვეშ, შეერთებულ შტატებში მცხოვრებს, 1968 წელს, გამოაქვს პრაგიდან, საიდუმლო აქტების მთელი დასტა, რომლის ამოშიფვრას დიდი დრო დასჭირდა. მოსკოვს ჯერ კიდევ მანამდე დიდი ხნის წინად, გადაუწყვეტია ტიტოს სიკვდილისთანავე იუგოსლავიაში ინტერვენცია, ან მისი სიცოცხლის დრო-

საც, თუ სერბებს და კროატებს შორის არსებული ეთანხმება დრამატიულ ფორმებს მიიღებდა.

და ვინაიდან რუსეთს ავსტრიისათვის თავიდანვე ვერ უპატივებია მასთან დადებული ხელშეკრულების შემდეგაც მისი აშკარა სიმპატია დასავლეთ ევროპის მიმართ, მისი დასჯაც გადაწყვიტა. ავსტრიის ხელში ჩაგდება რუსეთის ხმელთაშუა ზღვასთან კავშირის გამოგვალება იქნებოდა ნატოს წევრის იტალიამდე, და გარდა ამისა რუსები, როგორც დიდი, ცივი და უგულო საჯოსნები, იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი ავსტრიის დაპყრობას არ შეურიგდებოდა, მას იუგოსლავიის ოკუპაციის ცნობის გაცვლის ობიექტად გამოიყენებდა და ავსტრიას კვლავ დატოვებდა.

განსაკუთრებული გემოვნების მაჩვენებელია გამოქვეყნებულში აღწერილი დისკუსია მარშალ ჟუკოვისა და ხრუშჩოვის შორის. უკანასკნელს რაღაც უხერხულად მიაჩნდა ავსტრიის ნეიტრალიტეტის ცნობის პირველ ხანებში მასზედ იერიშის მიტანა. კრემლმა ხომ დიდი ამბით გადაიხადა ვენასთან დადებული ხელშეკრულება, და ის მსოფლიოს საჩვენებლად თავისი დაძაბულობის შენელების საგარეო პოლიტიკად გამოაცხადა. ჟუკოვი კი უმტკიცებს: „სადაც ჩვენი ჯავშნოსნები დგანან ადრე თუ გვიან ვიპოვით პარტნიორებსაც ჩვენი მარქსისტულ—ლენინისტურ კურსისასო.“ არა ამხანაგო მარშალო, უპასუხებს ხრუშჩოვი: „ჩვენს შორის განსხვავება მხოლოდ იმაში გამოიხატება, რომ შენ ჯავშნოსნების ამოძრავება გუშინ გინდოდა და მე კი ხვალო.“

რა საბუთით ან რა საბაბით შუძლია რუსეთს ავსტრიის ოკუპაციის გამართლება?!- იკითხავს პოლიტიკის დილეტანტებით სავსე ევროპის დემოკრატია, და წარუდგენენ თუ არა მათ საბჭოთა საიდუმლო პოლიციის მსახურნი (კგბ) მარქსისტულ-ლენინისტურ იდეოლოგიის ძველ ხრიკს, ისინიც ჩაჩუმდებიან. ნეიტრალიტეტის ხელშეკრულების დარღვევა ავსტრიის მიერ და თავისი ფაშისტური ძალებით იუგოსლავიის კონტრევოლუციური მოძრაობის დახმარება, რაა ამაზე უფრო ადვილი, თუ სიმართლეზე ისე გამწყრალი ხარ, როგორც ეს მთელი საბჭოთა კავშირია.

„პოლარკა“-ს გეგმით ჯერ უნგრეთის და განსაკუთრებით ჩეხების სამხედრო ერთეულები უნდა შესულიყვნენ ავსტრიაში, რომ მას არა მარტო რუსეთის, არამედ ვარშავის პაქტის სახელმწიფოების სახე მისცემოდა, მსგავსად 1968 წლისა ჩეხოსლოვაკიაში, და გარდა ამისა ასეთ სათუთ მდგომარეობაში მოსკოვისათვის დამამშვიდებელი იქნებოდა ჩეხებისა და უნგრეთის დივიზიების სამშობლოს გარეშე დგომა. წითელი არმია დაელოდებოდა ნატოს რეაქციას, სანამ ბრძოლაში ჩაერეოდა.

გენერალ ჟენსნს სიტყვით, 1962 წელს „პოლარკა-ს გეგმა იმდენად მზად იყო, რომ ის ხვადასხვა მანიოვრით და პრაქტიკულად კიდევაც წარმატებით გამოსცადეს. როგორც მაგალითად 1963 წელს დუგლა-პრაგის, ფეხბურთის ჯგუფს იტალიაში შეჯიბრების ჩატარების დროს აცილებს ავსტრიაზე გავლით სამი ავტობუსი, მათ შორის პირველი არმიის უფროსებისაგან სავსე . მეორე სახელმწიფო უშიშროების მოხელეებიდან და მესამე შტაბის ოფიცრებისაგან, დავალებით მთელი განკლილი მანძილი კარგად შეესწავლათ, რომ იმავე გზით თავის დროზე, სამხედრო ერთეულები იუგოსლავიის სახზღვარზედ წარმატებით მიეყვანათ.

თვით გენერალ ჟენსნს ხელმძღვანელობით გავარჯიშებული ოპერაცია პალესტინელების დღევანდელ ტერორისტულ თავდასხმას ხომ დიდათ წააგავს. 16 მძიმე შეიარაღებულ და 4 ტექნიკურ ექსპერტებს უნდა მოეყვანათ ეს განზრახვა სისრულეში. და წარმოიდგინეთ ივით ჩეხების თვითმფრინავი, თითქოს გასაჭირში, თავიუფლად ჩაფრინდა ვენა-შვეხატის აეროდრომზე 1967 წლის 30 ნოემბერს 13 საათზე და 25 წუთზე. მარშრუტის დაკარგვის მომიზეზებით ბრიუნდიან პრესბურგისაკენ და ავსტრიის საჰაერო მეთვალყურეების 6 კაცთან საუბრის შემდეგ, 2 დეკემბერს ისევ თავისუფლად უკან მიფრინავს.

ეს კურიოზი შეიძლება მთელი ევროპის უშიშროების ორგანოების დამახასიათებლათაც აღვნიშნოდ, რომელნიც ნაკლებად იტკივებენ თავს თავისი ტერიტორიის საბჭოთა აგენტებიდან დაცვისათვის.

მეორე საკითხია „პოლარკა“-ს გეგმის განხორციელების შემდეგ, რაც დღესაც აქტუალურია. დაკმაყოფილდება რუსეთი თავის ნადავლით? აიღებს კრემლი ხელს სხვა ქვეყნებში შფოთისა და არეულობის გამოწვევაზე? რასაკვირველია არა . მოსკოვი დღეს, ვიდრე არასოდეს საერთო რევოლუციის მზადებაშია და მსოფლიოს ჰეგემონიისაკენ მიისწრაფვის.

8—3—74 **დ. ვაშაძე.**

— : —

ლიკსუსი.

არ ახალია — ძველია

დასავლეთ გერმანიის მთავრობისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ 1970 წელს დადებული ხელშეკრულების გამო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მესვეური ნ. პოდგორნი იტყოდა: საბჭ. კავშირი არის უეჭველი პატიოსანი პარტნერი ხელშეკრულებათა განხორციელებაშიო.

შეუძლებელია თითოულ საბჭოურ ტყუილზე პასუხის გაცემა. ტყუილი საბჭოელისათვის ისეთივე საჭიროა, როგორც ჭამა-სმა. ტყუილი რუსეთის მესვეურებს და რიგითი პიროვნებასაც ჭირდებათ დასავლეთის გასაბრუებლად, რადგან დარწმუნებული არიან, რომ მრავა-

ლი ტყუილიდან ერთს მაინც იცნობენ ჭეშმარიტად! იტყუე, იტყუე, მაინც დარჩება რამე! მაგრამ ყველას დაბრმავება არ შეიძლება და ყველას მახსოვრობის მოშლა. ამიტომ გავიხსენოთ ნამდვილი ამბები, ისტორიული ფაქტები:

1917 წლის დეკემბრის ოთხს საბჭოელებმა დადეს ხელშეკრულება უკრაინის რესპუბლიკასთან და აღიარეს მისი დამოუკიდებლობა. ერთი წლის და ოცი დღის შემდეგ წითელი ჯარები შეესივნენ უკრაინას და დაიკავეს იგი. 1920 წელს მოსკოვმა დასდო ხელშეკრულება ლიტვა, ლატვია, ესტონეთთან; 1940 წელში მოსკოვმა ეს სამივე ქვეყანა შეიერთა.

1920 წლის მაისში მოსკოვმა იცნო საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა, ხოლო 1921 წლის მარტში დაიპყრო ეს ქვეყანა. სომხეთთან დადებული ხელშეკრულება იმავე თვეში დაარღვიეს. ამავე დროს მოსკოვმა იცნო ფინეთის რესპუბლიკა და 1939 წელს (ომის გამოუცხადებლად) წითელი ჯარი შეესია ცივსთს ზამთარში, და ჩამოართვა კარელია.

1921 წლის მარტის 18-ს დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალით დაწესდა პოლონეთის აღმოსავლეთის საზღვარი. 1939 წელს რუსეთმა დაიკავა პოლონეთის აღმოსავლეთი ნაწილი.

1922 წ. დამდეგს რუსეთმა ხელშეკრულებით დაადასტურა ჩეხოსლოვაკიის დამოუკიდებლობა და ხელუხლებობა. 1945 წ. რუსეთმა შეიერთა კარპატო-უკრაინა (ჩეხოსლოვაკიაში შემავალი).

1939—1940 წწ. წითელი ჯარები შეესივნენ პოლონეთს, ფინეთს, ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს, რუმინეთს.

1934 წ. რუსეთმა დასდო ხელშეკრულება რუმინეთთან და იცნო მისი საზღვრები. მაგრამ 1944 წ. რუსეთმა ჩამოართვა რუმინეთს ბესარაბია. მოსკოვმა ცნო და აღიარა უნგრეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ 1956 წელს რუსული ჯავშნოსნები შევიდნენ ბუდაპეშტში.

1933 წელს რუსეთმა აღიარა, რომ იგი ამერიკის შეერთებულ შტატებში არავითარ კომუნისტურ პროპაგანდას არ გასწევდა; სულ მოკლე ხანში მოსკოვში შედგა კომუნისტური კონფერენცია, რომელმაც დაადგინა: პოლიტიკა კაპიტალისტურ წესწყობილების დამხობისა.

1934 წ. საბჭოთა კავშირმა ხელი მოაწერა ერთა ლიგის წესდებას, რომლის მიხედვით არავის არა ჰქონდა უფლება იარაღისათვის მიემართა სადავო საკითხის გადასაწყვეტად.

1939 წ. დეკემბრის 14-ს რუსეთი თავს დაესხა ფინეთს და ამის გამო საბჭოთა კავშირი გააძევეს ერთა ლიგიდან.

1942 წ. საბჭოთა წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ატლანტიკურ ხარტა-ზე, რომლის თანახმად აკრძალულია ტერიტორიული შემოერთებისადმი მისწრაფება.

1944 — 1968წწ. განმავლობაში საბჭოთა რუსეთმა ხელთ იგდო კონტროლი შუაგერმანიის, აღმოსავლეთ ევროპის, ჩრდილო კორეის, ჩრდილო ვიეტნამის და გარეშე მონგოლეთისა.

1942 წ. მოსკოვმა დადო ვაშინგტონთან ხელშეკრულება („თხოვებისა და იჯარისა"), რომლის თანახმად ამერიკისაგან ნათხოვები გემები და სხვა მასალა უკანვე უნდა დაებრუნებინა (რვაასი მილიონი დოლარის ღირებულება). დღემდე არ დაუბრუნებია და არც ფული გადაუხდია.

1945 წლის დამდეგს მოსკოვმა ხელი მოაწერა იალტის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით უნდა მომზადიყო „თავისუფალი არჩევნები" მთავრობათა, რომელნიც ხალხის ნებას დაქვემდებარებულნი იქნებიან, მაგრამ საბჭოელებმა ეს დაპირება არ გაანაღდეს, არც გერმანიის მიმართ.

და სხვა რამდენი პოლიტიკური, ეკონომიური თუ მილიტარული ხელშეკრულება არ შეუსრულებიათ საბჭოელებს.

ლიკსუსი.

გაუთავებელი „წმენდა"

კალაურელი.

მას შემდეგ რაც მოსკოვის ბრძანებელმა საქართველოს დაუნიშნა „ნამესტნიკად" მისი უწმინდესობა ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს ციხეები გატენილია არიან ქართველებით, და თვით „უცოდველი მმართველი მისი „პარტია" მუდმივი ბრალდების ქვეშ დგას. პირველ თავში ბრალდება იბეჭდება რუსულად, მოსკოვში, მერე მისი ექო-ანარეკლი — საქართველოს გაზეთებში.

„ეკონომიური კორუპცია — მექრთამეობა — მომხვეჭელობა — გამოძალვა—სახელმწიფო ქონების ფლანგვა..."-თი იწყება ეს განგაში. და თავს აყრევინებენ „ბობოლა" და „წვრილფეხა" განტევების ვაცებს! საქმარისია გავიხსენოთ რამოდენიმე სახელი: შარშან ივნისში გადააყენეს ვაჭრობის მინისტრი ვახტანგ თოხაძე და მისი მოადგილე ჩხიკვიშვილი, მერე ი. მარგველაშვილი (სამინისტროს პარტიული მდივანი), რ. ყურათაშვილი (წარმოების ხარისხოვანობის კონტროლიორი) და აღინიშნა რომ 68 % სახელმწიფო მაღაზიებისა კორუპციის საგანი იყვნენ.

მერე განდევნეს თვით საქ. ც. კ. პრეზიდიუმიდან ბ. გასიევი, ა. ბატიაშვილი, და ა. ჭითანავა. სასტიკად დაგმო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გივი ჯავახიშვილმა მოსამართლენი და მილიცია, მათი უნაყოფო ბრძოლისათვის „ბანდიტებთან, მკვლელებთან, ლოთებთან და ნარკოტომანებთან."

სექტემბერში გადააყენეს მრეწველობის მინისტრი მეგრელიშვილი, ოქტომბერში განდევნეს ც. კ.-დან ჯავახიძე და გელბახიანი... ყველას ვერ ჩამოვთვლით.

ყოველივე ქართველისათვის — გინდ „პარტიელიც“ იყოს, — დღეს ნათელია რომ **კომუნისტური დოქტრინა ჩიხშია** შესული, და რომ პრაქტიკაში ის განიკდის სრულს კრახს.

ამიტომ არის რომ შევარდნაძე არ კმაყოფილდება „ეკონომიური“ სექტორის წმენდით! პარალელუროად ის ხმარობს მის საპოლიტიკურ „იდეოლოგიურ“ მძიმე არტილერიას, და „ჩასაფრებულ მტრად“ აცხადებს: ისტორიას — ნაციონალიზმს — სარწმუნეობას...

ეს უკანასკნელი ხომ 99 %-ად განდევნილია საზოგადოებრივი ცხოვრებიდან, და აკრძალული. ანაფორას ქუჩაში ვერ ნახავთ. ქრისტიანული ნათლობა და ქორწინება მალულად თუ ხდება, და ჯვარის ყიდვა მხოლოდ „შავ ბაზარზე“ შეიძლება. საეკლესიო ზარის რეკვა უცნობია. საფლავზე ჯვარის ამართვა, ან ამოძერწვა აკრძალულია. მიზგითის მინარეთიდან მოლას ხმას ვერ გაიგონებთ... ასეთია პიროვნების თავისუფლება!

ხოლო გრძნობის აღმოფხვრა მაინც ვერ ხერხდება და ამიტომ არ სცხრება ჩვენი „ღენერალი“. მაისის მოახლოვება მის გამო ჩვენში „სუსხის“ მომტანია.

საქართველოს კომკავშირის მე-30-ე კონგრესიდან კვლავ მოითხოვს კადრების გაზრდას! (ე. ი. მორჩილი ჩინოვნიკების.) **„ქალების დღეს“ ის მოითხოვს მათგან** მომატებით მუშაობას. ამით ის ფიქრობს არა მხოლოდ წარმოებაზე, რამედ აგრეთვე ოჯახური უჯრედის გავლენის შესუსტებას, რომელიც წინააღმდეგობას უწევს რუსიფიკაციას და პარტიულ დაზვერვას.

მწერლებს და ისტორიკოსებს ე. შევარდნაძე კატეგორიულად სთხოვს ძირითადათ გადაამუშაონ ჩვენი ერის თანამედროვე ისტორია. რადგან იცის რომ მასშია ჩვენი ხალხის თვითშეგნების ხერხემალი.

თუ შარშან სიდამონიძის და მენაბდეს შრომები მკაცრად გაკიცხულ იქმნენ — რასაც მოჰყვა მთელი ოიგი მეცნიერ მუშაკთა გადაყენება და დაქვეითება, (რომლის შადეგი იყო სამეცნიერო აკადემიის თავმჯდომარის პროფ. ნიკო მუსხელიშვილის პენსიაზე გასვლა), წრეულს შევარდნაძემ მიიჩნია საჭიროდ უფრო თვრამეტ ზომები. ამ მიზნით მისმა დამქაშებმა **გამოაშტეხნენ** და ერთმანეთს მიუსიეს წინასწარ დაშინებული მეცნიერები. მაგალითად დიამატის პროფესორი გორგილაძე 5 მარტის „კომუნისტში“ თავს ესხმის ისტორიის პროფ. რობერტ სტურუას, და ამჟღავნებს მის ცოდვას. 9 აპრილს — (ჩანს მოფიქრება საჭირო იყო!...), ეს უკანასკნელი იგერიებს ამ იერიშს; **“მაშინდელმა** ვითარებამ თავისი დაღი დასვა საქართველოში საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარება“-სო ესე იგი მეავანაძის ბრალი იყოო...

ეს ხომ აშკარა ალიარებაა იმისი თუ როგორ იწერება საქართველოს ისტორია მოსკოვის კარნახით (და მბრძანებლობით). საქმე ასე იოლად როგორ გათავდება. ამ 8 მაისს საქ. კ. პ. ც. კ. პლენუმს გნ. ედ. შევარდნაძემ აცხობა თავისი ბატონის ბრეჟნევის მოთხოვნილება „დისციპლინის გაძლიერებისა,“ „წარმოების მომატებისა“ — და გაზეთ „ფიგაროს“ კორესპოდენტი მოსკოვში აღნიშნავს რა რომ ქართველებში კვლავ ცოცხალია ეროვნული გრძნობები და კერძო საკუთრებისკენ მიდრეკილება, დასძენს: „მოსალოდნელია კვლავ „თავების დაყრა“... სულ თავების კვეთა, ციხეები და გაციმბირება!..

როდემდის, ღმერთო?

მართლაც პლენუმმა სოფ. მეურნეობის გამგის თანამდებობიდან გაანთავისუფლა ფ. ს. დუღაშვილი და მის ადგილს დაინიშნა ო. გ. ვარძელაშვილი. ეჭვი არ არის, ვარძელაშვილი, მისი ბატონის ბრძანებით არ დაიყოვნებს სოფლის მეურნეობა გაწმინდოს ყოფილი პასუხისმგებელი კადრებისაგან. ედ. შევარდნაძე ამით ორმაგად მოიგებს: საპასუხისმგებლო პოსტებზე თავის სანდო პირებს გაამწესებს, ხოლო მეურნეობის მუდმივ კრიზისს ძველი კადრების უვარგობას გადააბრალებს. მუსიკა ძველია, შემსრულებელი ახალი.

კალაურელი.

ალ. მანველიშვილი.

ვანო ნანუაშვილის წიგნი

გამოვიდა ვანო ნანუაშვილის წიგნი, ინგლისურ ენაზე სათაურით „ის რაც ყველამ უნდა იცოდეს თავისუფალ ქვეყნებში რუსეთის შესახებ.“ ქართველი მკითხველი კარგად იცნობს ავტორს, მაინც საჭიროდ მიმაჩნია მასზედაც რამდენიმე სიტყვა ვსთქვა, რადგან მისი საწერლო მოღვაწეობა განსაკუთრებულად სდგას დანარჩენი ემიგრანტული მწერლობისაგან. თუნდაც იმ ფაქტით რომ ის არის ერთად ერთი ქართველი მხედარი, რომელიც თავიდანვე სამხედრო საკითხებთან ერთად, შეეხო პოლიტიკურ საკითხებსაც. გამოსთქვა და დაასაბუთა აზრი სამხედრო წრეების ახლო თანამშრომლობის შესახებ პოლიტიკურ მეთაურობასთან. უმთავრესად კი ის შეეხო რუსეთის იმპერიის და მის მიერ დამონებული ერების მიზნებსა და მათ შორის ბრძოლის მომენტებს.

ვანო ნანუაშვილი ყოფილი მოწაფეა ქართული სამხედრო სკოლისა, რომელმაც დასაწყისშივე ღირსეულად

მოიხადა თავისი ვალი სამშობლოს წინაშე. ოჯახურ აღზრდასთან ერთად ქართულმა სკოლამ ნანუაშვილს თავიდანვე ჩაუნერგა აზრი სამშობლო ქვეყნის შესწავლისა სამხედრო თვალსაზრისით. უცხოეთში გადმოხვეწის შემდეგ ის მოჰყვა პოლონეთის სამხედრო აკადემიაში, რაც ღირსეულად დაამთავრა და მსახურობდა პოლონეთის ჯარში. ამ სამსახურს მხოლოდ გაძლიერება შეეძლო მისი პატრიოტული გრძნობისა. პოლონეთი ჩვენი შეგობარი ქვეყანაა. მასთან ერთად ერთ ტაფაში იწვოდა ჩვენი ქვეყანა და სრულიად ბუნებრივად უნდა შექმნილიყო ურთიერთ სოლიდარობის გრძნობა. ამიტომ პოლონეთის მთავრობა დაინტერესებული არ ყოფილა ქართველი მხედრები პოლონელებათ ექცია. პირიქით, ყველაფერს აკეთებდა რომ მათთვის სათანადო გაწრთვნა მიეცა და რომ ისინი მერე თავიანთ სამშობლოს საქართველოს გამოსდგომოდენ. ასეთ პირობებში ჩამოყალიბდა ვანო ნანუაშვილის სამოქმედო გეგმა. მისი კალმის პირველი ნაყოფი გამოჩნდა მისივე ინიციატივით და სხვა იუნკერთა დახმარებით გამოცემულ ჟურნალ „მხედარში.“ მისი ეს მოღვაწეობა ყველასათვის ცნობილია და აქ არ შევჩერდებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ის მოჰყვა ამერიკაში და აქაც უცხო პრესაში შეუდგა საქართველოს უფლებების დაცვას. მალე მან ბევრის ყურადღებაც მიიყარა. ამის შედეგი იყო რომ პროფ. დობრიანსკიმ, წარმოშობით უკრაინელმა და ამერიკის პოლიტიკურმა მოღაწემ, ის მიიწვია აღმასრულებელ კომიტეტში იმ ორგანიზაციისა, რომელსაც მიზნად აქვს დასახული რუსეთის მიერ დამონებული ერების განთავისუფლება.

ამ მძიმე საკითხს უძღვნა მან თავისი უკანასკნელი შრომა. მართალია, ამ საკითხებზე ბევრი რამ დაწერილა, განსაკუთრებით ცალკე ეროვნებათა განხრით, მაგრამ საჭირო იყო სინთეტიური შრომა, რომელიც ამ საერთო ბრძოლას საერთო ხაზებში გაარკვევდა და უცხოეთის ფართო საზოგადოებრივ აზრს ღირსეულ სახელმძღვანელოს მიაწოდებდა. ეს მიზანი მან ღირსეულად შეასრულა. ამ შრომაში ამოწურულია აღნიშნული საკითხი. ის განხილულია საერთაშორისო პოლიტიკის ასპექტში და მოხმარებული, როგორც ეკონომიური და პოლიტიკური ისე სამხედრო თვალსაზრისი. ეს ყოველივე კი მის წიგნს ანიჭებს ისეთ ღირსებას, რომლის მსგავსი ამ დარგის ლიტერატურაში იშვიათია.

პირველი და მთავარი საკითხი, რომელიც ავტორმა ფართე ისტორიული მონაცემებით დაასაბუთა, გაბლავთ რუსეთის ძირითადი, ისტორიული ტენდეცია დაპყრობითი პოლიტიკისა. მართლაც მოსკოვის სამეფოს დაარსების დღიდან რუსეთი არ შეცდილა ეროვნული სახელმწიფოს შექმნას. ის იმავე დღეს გადავიდა დაპყრობით პოლიტიკაზე და მთელი ოთხი საუკუნის განმავლობაში ამას განაგრძობს. მისი ასეთი მუდმივი აგრესიის ტრადიციიდან გამომდინარეობს ის ფაქტიც, რომ რუსეთმა თავიდანვე უარჰყო საერთოდ მიღებული კოლონიალური პოლიტიკის მეთოდი და დაიწყო დაპყრობილი ერების სისტემატიური ასიმილიაცია რუსის ხალხში.

მეორე საკითხი შეეხება დაპყრობილი ერების შეუჩერებელ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და მისი საბოლოო დასკვნით, ახლო მომავალში რუსეთის იმპერიის საბოლოო ნგრევის აუცილებლობას.

მესამე საკითხია რუსეთის საერთაშორისო მდგომარეობა. აქაც, დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკის ზოგიერთი კრიტიკის შემდეგ, ავტორი საერთო ზავის ერთ მთავარ პირობად აღიარებს აღნიშნული ერების განთავისუფლებას. რომ მხოლოდ თავისუფალი ერების ნიადაგზე შეიძლება, მუდმივი და მყარი საერთაშორისო ურთიერთობის დამყარება.

ამის შემდეგ შესანიშნავად არის შესწავლილი რუსეთის სამხედრო შესაძლებლობანი, პირველია დასაბუთება იმისა რომ რუსეთი თავის სამხედრო ძლიერებაში უმთავრესად ემყარება დაპყრობილი ერების ფიზიკურ და მატერიალურ პოტენციალს და რომ დაპყრობილი ერების ჩამოშორებით რუსეთი დაჰკარგავდა დაპყრობითი პოლიტიკის გატარების უნარს.

გარდა ამისა, რუსეთის იმპერიის შესაზღუდად, ჩვენს დროს, გაჩნდა ერთი ძლიერი ფაქტორი, ჩინეთი. მონგოლთა ბატონობის შემდეგ რუსეთის იმპერიას აღმოსავლეთიდან აღარაფერი ემუქრებოდა და მთელი თავისი ძალებით დანავარდობდა დასავლეთით და სამხრეთის მიმართულებით.

დღეს კი ჩინეთი ისე გაძლიერდა და მისი ინტერესებით ისე დაუპირისპირდა რუსეთს, რომ ეს უკანასკნელი საგონებელში ჩაადგა. ავტორის აზრით მათ შორის კონფლიქტის დროს რუსეთს არ შეეძლება ერთდა იმავე დროს დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფრონტზე ბრძოლა

ავტორმა სპეციალურად შეისწავლა რუსეთ-ჩინეთის დამოკიდებულების საკითხი სამხედრო თვალსაზრისით და დაასკვნა რომ მათ შორის კონფლიქტის შემთხვევაში რუსეთი მოკლებულია წანმარტების შანსს. რადგან მისი აზრით რუსეთმა ჩინეთის წინააღმდეგ უნდა იბრძოლოს სამ მთავარ ფრონტზე, რაც მოითხოვს სამ დამოუკიდებელ არმიას და ასევე დამოუკიდებელი მომარაგების საშუალებათ, რაც მას შეუძლებლად მიაჩნია არსებული კომუნიკაციისა და საერთოდ რუსეთის გეოგრაფიული პირობების გამო. ამიტომ ამ სამივე ფრონტზე ავტორი უპირატესობას ანიჭებს ჩინეთის შეიარაღებულ ძალებს.

საკითხის ამნაირად განხილვის შედეგად მეტად ღარიბად გამოიყურება რუსეთის ის მოჩვენებითი ძლიერება, რომელმაც დასავლეთის ქვეყნები ერთგვარი შიშის ქვეშ დააყენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი 4/35

ვანო ნანუაშვილის აზრით, რუსეთის არსებული ძლიერება, რომელიც დასავლეთის ფრონტისათვის ერთგვარად რეალურად გამოიყურება, მნიშვნელობას ჰკარგავს აღმოსავლეთის ფრონტისათვის. თუმცა მან დასავლეთის ფრონტზედაც პირველ და მეორე მსოფლიო ომშიც დიდი სისუსტე გამოიჩინა და თვინიერ ამერიკის უხვი მატერიალური დახმარებისა ის გერმანიის მიერ იქნებოდა გაქელილი. რუსეთს არ აკლდა არც ფიზიკური ძალა და არც ბრძოლის უნარი, მაგრამ როგორც ყოველ დიქტატორულ ქვეყანაში, ომის დროს მან ვერ შესძლო სათანადო მომარაგება და მისი გეოგრაფიული პირობების გამო ეს არც შეეძლო. თუ წარსულ ომებში ეს პირობები მოქმედობდნენ მის სასარგებლოდ, დღეს ეს პირობები მოქმედობენ მის წინააღმდეგ.

საბოლოოდ ავტორი რუსეთზე იმ აზრს გამოსთქვამს, რომ რუსეთისათვის ბევრად უმჯობესი იქნებოდა დაპყრობილი ერების ბატონობაზე ხელი აეღო, შეექმნა რუსეთის ეროვნული სახელმწიფო და ასე შესულიყო თავისუფალ ქვეყნებთან კავშირში.

ეტყობა რუსეთშიც მოიპოვებიან პირები, რომელნიც სცნობენ ამ ჭეშმარიტებას. ამის გამოძახილი უნდა იყოს უკანასკნელად რუსეთიდან გადასახლებული მწერლის სოლჟენიცინის წერილი რუსეთის მთავრობასთან, რომელიც მათ ურჩევს რომ პატარა ერების ბატონობაზე ხელი აიღონ და იზრუნონ ეროვნული სახელმწიფოს შექმნაზე.

ა.მ.

სათვისტომოს ამბები

26 მაისობა პარიზში.

24 მაისს, საღამოს 8 ნახევარ საათიდან გათენებამდე, პარიზში, საავიაციო კლუბის დარბაზში, ადგილი ჰქონდა ჩვენი ეროვნული დღესასწაულის — 26 მაისისადმი მიძღვნილ საღამოს.

დარბაზი კოხტად იყო მორთული ქართული ღერბით და ქართული დროშებით. დამსწრეთა შორის, პარიზის შემოგარეშნი მცხოვრებთა გარდა ბევრი იყვნენ საფრანგეთის პროვინციებიდან ჩამოსული ჩვენი თანამემამულენიც. ასევე ბელგიიდან და გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკიდან. საპატიო მაგიდას უჯდა ოციოდე ფრანგი, პოლონელი და სხვა სტუმარი.

საზეიმო კრება გახსნა სათვისტომოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ლევან ზურაბიშვლმა, მან კრებას პიმართა ჯერ ქართულად და შემდეგ ფრანგულად. ამ მიმართვის მთლიანი ტექსტი იბეჭდება თ. ტ. ამავე ნომერში, მოწინავეში. ლ. ზურაბიშვილის შემდეგ მხურვალე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ქ-ნმა სუზან ლაბენმა, ბ-მა დე ვილმარესტმა და ბ-მა რეიმონ ლო ბურმა.

პოლიტიკური სიტყვების დამთავრების შემდეგ გაიმართა მხატვრული განყოფილება ქართული ... სიმღერების და ცეკვების ჩვენი ახალგაზრდობის ბიწყინვალე შესრულებით. და-ძმა გულიკო და ოთარ პატარიძეები, სესილია და ალექსი რუხაძეები, სალომე და ოთარ ზურაბიშვილები, ლია და მიშა გოგიტიძეები, დები ხომერიკები: ანიკ დავრიშაშვილი, ნინა მონესტიე, და ნელი ჭავჭავაძე; კატო და მერაბ ოდიშელიძეები, დები ირენ და ეკატერინე ციციშვილები, ქრისტინე ტულეკი, ნათელა ყიფიანი, თინა ბერიკაშვილი-კერესელიძისა, ნიკო ჭავჭავაძე და პატრის ასათიანი—ერთი ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ თავიანთ შესრულებებში. რამაზ პაპუაშვილმა მშვენიერი სიტყვით მიმართა უფროს

თაობას ახალგაზრდობის სახელით და შემდეგ მოხდენილად წარუძღვა პროგრამის განხორციელებას.

საუცხოო იყო რუსუდან სტურუას დეკლამაცია, ტიციან ტაბიძის ლექსის „მაშ გამარჯვება“!..

მხატვრული განყოფილების შემდეგ, ჯაზის ჰანგზე, ახალგაზრდობა და ბევრი ჭარმაგიც მხიარულად ცეკვავდა მოდერნულ ცეკვებს, გვიან გათენებამდე.

"მომავალი 26 მაისი საქართველოში!"

ასეთი იყო დევიზი ამ ბრწყინვალე საღამოსი.

პარაკლისი წმიდა ნინოს ეკლესიაში.

კვირას, 26 მაისს, პარიზის ქართველთა წმიდა ნინოს ეკლესიაში მოძღვარმა ილიამ პარაკლისი გადაიხადა 26 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. და მრავალრიცხოვან დამსწრე მრევლს უქადაგა 26 მაისის დღესასწაულის დიდმნიშვნელობაზე ქართველი ერის მომდინარე ისტორიაში.

პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას საფლავზე.

ამავე დღეს, 16 საათზე, ლევილის ძმათა სასაფლაოზე პრეზიდენტ ნოე ჟორდანიას საფლავს, ქართული სამფეროვანი დროშით, ეწვია სათვისტომოს თავმჯდომარე ბ-ნი ლევან ზურაბიშვილი, გამგეობა და პარიზის ქართველობა.

ბ-ნ ლევან ზურაბიშვილმა წაროსთქვა მოკლე სიტყვა, რომლის შემდეგაც გუნდმა შეასრულა დიდება.

დამსწრეთ მადლობა გადაუხადა პრეზიდენტის ქალიშვილმა ასმათ ჟორდანია—ფაღავასამ.

უცნობ ფრანგ ჯარისკაცის საფლავზე.

როგორც ყოველ წელიწადს, წელსაც 26 მაისს, საღამოს 18 საათზე, ქართველმა ყოფილმა მბრძოლებმა და სათვისტომოს მრავალრიცხოვანმა ქართველობამ, ცოცხალი ყვავილების გვირგვინი დაადვა საფრანგეთის უცნობი ჯარისკაცის საფლავს, და მუდმივი ცეცხლის გაღვივებას დაესწრო. აქაც როგორც წმ. ნინოს ეკლესიაში და პრეზიდენტ ნ. ჟორდანიას საფლავზე, ქართული ეროვნული დროშა ეკავა საქართველოს ბრძოლების ვეტერანს, ჩვენს ქრისტიფორე იმნაიშვილს.

პარიზის სათვისტომოს საანგარიშო კრება.

ა წ. 28 აპრილს შესდგა სათვისტომოს წევრთა საერთო კრება. კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ-ნი ნოე ცინცაძე, მდივნად ბ-ნი ნიკო ყურულაშვილი.

კრებამ მოისმინა ბ-ნ ლევან ზურაბიშვილის მოხსენება განვლილი ორი წლის მუშაობის შესახებ, ასევე მოლარის ბ-ნ ოთარ პატარიძის და სარევიზიო კომისიის სახელით, ბ-ნ გ. გრიგოლაშვილის.

კრებამ მოიწონა გამგეობის მიერ ჩატარებული მუშაობა, მიიღო წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა, ერთხმად მადლობა გამოუცხადა და სთხოვა კვლავ ორი წლის განმავლობაში გააგრძელოს მუშაობა. ბ-ნ ზურაბიშვილის თხოვნით კრებამ ძველ გამგეობას დაუმატა ორი ახალი წევრი, ამრიგად პარიზის ქართველთა სათვისტომოს გამგეობა შესდგება: თავმჯდომარე: ბ-ნი ლევან ზურაბიშვილი. — მოადგილეები: ქალბატონი ქეთევან დადიანი და ბ-ნი ვიქტორ ხომერიკი; ხაზინადარი: ბ-ნი ოთარ პატარიძე; მდივანი: ბ-ნი გია სარჯველაძე; წევრები: ქ-ნი ნელი მდივანი - ვოდესი; ბატონები: რამაზ პაპუაშვილი, გივი ბეგიაშვილი და მიხეილ ვოდე - გოგიტიძე;

სარევიზიო კომისიის წევრები: ბ-ბი დ. კლდიაშვილი, გ. გრიგოლაშვილი და გივი ყიფიანი.

გამგეობის წინადადებით, კრებამ, მხურვალე ოვაციით, საპატიო წევრად აირჩია ქალბატონი ნამეტია ბერძენიშვილი—გოგუაძისა, იმ დიდი ღვაწლისათვის, რომელიც მან გასწია ლევილის ძმათა სასაფლაოს მოწყობა-პატრონობაში.

ასევე კრებამ მადლობა გადაუხადა არქიტექტორ ალექსი კობახიძეს, მის მიერ გაწეული უანგარო საქმიანობისათვის პარიზის ქართველთა წმიდა ნინოს ეკლესიის ახალი პინის მოწყობის საქმეში.

დაბოლოს, კრებამ ზოგიერთი შესწორება და დამატება შეიტანა სათვისტომოს არსებულ წესდებაში.

დამსწრე.

ქ-ნი ნამეტია ბერძენიშვილი - გოგუაძისა ქართული სათვისტომოს საპატიო წევრი

როგორც პარიზის ქართველთა სათვისტომოს საერთო კრების ოქმშია აღნიშნული ქ-ნ ნამეტია გოგუაძეს მიენიჭა **საპატიო წევრობა;** ლევილის ძმათა სასაფლაოს მოწყობაში და მის მოვლა - პატრონობაში გაწეული დიდი ღვაწლის გამო.

ჩვენი ძვირფასი ნამეტიას საქმიანობა ამით არ ამოიწურება; იგი არის ლევილის ქართული კერის გამგე, ხოლო უფრო მეტი და მნიშვნელოვანია ის, რომ ის არის მთელი ქართველობის შემკრები და თავის მომყრელი.

არ არის ქართველი ლევილში გაევლოს და ამ შესანიშნავი ქართველი ქალის გაუმეორებელი მასპინძლობით არ მოხიბლულიყოს და თან არ წაეღოს უნაზესი ვრძნობები: ერთხელ კიდევ მისცემოდეს ბედნიერება ასეთი მასპინძლობის განმეორებისა.

მადამ გოგუაძე განუმეორებელი ამბასადორია საქართველოსი ფრანგებთან. საკმარისია მისი სახელი ახსენოთ სოფელ ლოვილის ახლო-მახლო, რომ თქვენს წინ თავა-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიანად კარებები გაიღოს. უცხოეთში დაბადებული ქართველი ახალგაზრდობა, ხშირად, მოწყვეტილი ქართველობას, მხოლოდ მათი ძვირფასი „ნამეტია“-თი არიან გადაბმული მაძა-პაპის ხსოვნასთან.

ამ პატარა წერილში შეუძლებელია ქ-ნ ნამეტიას პიროვნების სრულყოფილი პორტრეტის მოხატვა.

ხატოვან მეტყველებაში შემხვედრია „ადგილის დედა“-ს ტერმინი და ვფიქრობ ქართველ ლტოლვილთა „ადგილის დედა“ მოუხდებოდა მის პიროვნებას.

მაშ: ღმერთმა დიდხანს და ჯანსაღად აცოცხლოს ლევილის ადგილის დედა, ჩვენი ძვირფასი ნამეტია.

გ. წ.

ნაპერწკლები გულიდან — დიმიტრი ქიმერიძე.

ქართულ პოეზიის მოყვარულთ ვაცნობებთ: ბ-ნ პ. სარჯველაძის წინასიტყვაობით დაიბეჭდა დიმიტრი ქიმერიძის ლექსების კრებული: „ნაპერწკლები გულიდან“

ბოდიშს ვიხდით ავტორთან თუ აქ ვრცელ ანალიზს ვერ გავაკეთებთ და დავკმაყოფილდებით მხოლოდ ვურჩიოთ მკითხველებს შეიძინონ ეს სასიამოვნოდ საკითხავი წიგნი, დედა-სამშობლოს სიყვარულით გამთბარი და ნასაზრდოვები.

„არქიპელაგ გულაგ“-ის მეორე ტომი.

ამ დღეებში, რუსულ ენაზე გამოვიდა ალექ. სოლჟენიცინის „არქიპელაგ გულაგ„-ის მეორე ტომი. ისევე, როგორც პირველი, ეს წიგნიც შეიცავს აღწერას საბჭოთა საკონცენტრაციო სამყაროს 1918 — 1956 წლების პერიოდში. წიგნის შეძენა შეიძლება:

YMCA-PRESS
11, Rue de la Montagne-Sainte-Geneviève, PARIS Ve

† მწუხარებით ვაუწყებთ საზოგადოებას:

ა. წ. 3 აპრილს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ პარიზში გარდაიცვალა მხედარი **ანდრო რეხვიაშვილი.** დასაფლავებულია ლევილის ძმათა სასაფლაოზე.

ა. წ. 5 აპრილს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა **დავით ბუაჩიძე.** დასაფლავებულია ლევილის სასაფლაოზე.

ა. წ. 5 აპრილს ქ. სენ-მოგუელში (არგენტინა) 72 წლის ასაკში, გარდაიცვალა **ბაგრატ ჭანტურია.**

საუკუნო იყოს ხსენება მათი.

თავისუფლების ტრიბუნას ფონდი

(ფრანგულ ფრანკებში; 1 მარტიდან 30 აპრილამდე.)

მიღების რიგით:

განსი	24,00
ურატაძე დავით	100,00
მელქაძე ალექ.	100,00
ტორონჯაძე დ.	100.,00
კალანდაძე შალვა	100,00
გამყრელიძე გიორგი	38,50
ვაშაძე დავითი	100,00
აზმეტელი ვანო	45,00
გოგუაძე ნამეტია	30,00
გაჟონია ისიდორე	48,00
ყურულაშვილი ნიკო	50,00
შარაბიძე ლადო	10,00
მჭედლიშვილი არჩილ	100,00
კვიტაშვილი მერაბ	47,62
ცინცაძე შალვა	47,62
ვაჩნაძე ვანო	50,00
შავლაყაძე შალვა	10,00
გამსახურდია აკაკი	10,00
ყავრელიშვილი ერმალოზ	30,00
"ი-ნ ბ"	10,00
ფანჯანაძე ავთანდილ	55,78
ჯავახიშვილი გოგია	55,78
გიგოლაშვილი მიშა	11,16
სმიტი შოთა	47,17
რაუმან თინა	100,00
გამყრელიძე ალიოშა	100,00
ნასყიდაშვილი თამაზი	50,00
ორაგველიძე აპოლონ	80,00
ტოგონიძე გ.	10,00
ფაღავა ლევან	30,00
ჯაში უდო	100,00
მაყაშვილი ელიზბარ	20,,00
დადიანი მიხეილ	48,78
ქლენტი ჟანეტ და ტარიელ	100,00
არველაძე ლადო	50,00
ნაკაიძე შურა	10,00
ნაკაშიძე გიორგი	146,34
გეგეჭკორი-სტურუასი მათიკო	30,00
მაჭავარიანი ერასტ	10,00
შავუგლიძე აკაკი	10,00
ჯამი	2.165,67
28 თებერვლის ნაშთი	4.590,37
სულ	6.756,04
Თ.Ტ. № 2-ის დაბეჭდვა და დაგზავნა	1.985,01
30 აპრილს სალაროში დარჩა	4.771,03

ყველა შემომწირველს ულრმესი მადლობა. ეს თქვენი გამოხმაურება ჩვენ ჯერ ერთი მატერიალურ საშუალებას გვაძლევს ამ ჩვენი საქმის გაგრძელებაში, და მეორეც მორალურად გვამხნევებს და გვამტკიცებს ჩვენი აღებული ხაზის სისწორეში.

მასალები და შემოწირულებანი უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით:

Directeur : G. TSERETELI 193, Avenue du Belvédère 75019 PARIS Tél. : 607.08.14

Edition hors commerce IMPRIMERIE COOPÉRATIVE 91290 - ARPAJON (FRANCE)

ეროვნული ბიბლიოთეკა